საინვესტიციო შეთავაზება

Patentmarket-ისგან

2024

Tbilisi

patentmarket.biz

სარჩევი

მოკლედ პროდუქტის შესახებ 3

კონკურენტული უპირატესობა 5

ბაზრის ანალიზი 6

მარკეტინგი 8

ფინანსური გეგმა და ინვესტიციები 8

მოკლედ პროდუქტის შესახებ

ჩვენ გთავაზობთ სიენსი ჩარხისთვის განკუთვნილ ექვს პროგრამულ ფაილს ექვს ლიცენზიასთან ერთად 4500 დოლარად, მათ შორის 3D ფორმატში ფაილებს. აღნიშნული ფაილები სივრცის დამზოგავი ავეჯისთვის არის განკუთვნილი.

შეთავაზება ძირითადად შეხბა საბავშვო ავეჯის დიზაინებს, რაზეც ევროკავშირის ათი დიდი სახელმწიფოს ავტორიზებული სამსახურის მიერ გაცემულია პატენტი საერთაშორისო სარეგისტრაციო ნომრით - DM/ 225 308.

იმისთვის, რომ აღნიშნული ავეჯი დაამზადოთ, გარდა პროგრამული ფაილებისა და ლიცენზიისა, დაგჭირდებათ CNC როუტერის შეძენაც. CNC როუტერი არის კომპიუტერით კონტროლირებადი საბურღი და მას შეუძლია დაიცვას ფაბრიკაციის ფაილში არსებული ხაზები და ზუსტად დაჭრას დეტალები.

ხის CN როუტერი, პლიუს ჩვენი უპრეცედენტო შემოთავაზება, ესაა მთელი თქვენი ინვესტიცია თქვენს სტარტაპში.

შემოთავაზების აღნიშნულ პაკეტი სივრცის დამზოგავი ავჯის დასამზადებლად გამოიყენება.

ასეთ ავეჯს აქვს მინიმუმ ორი ფუნქცია, ორი ნივთის ნაცვლად გაქვთ ერთი ნივთი სახლში, ყიდვისას კი მრავალფუნქციურობიდან გამომდინარე ერთის ფასად ყიდულობთ რამდენიმე ნივთს ერთად.

გადავიდეთ კონკრეტულად ჩვენს დიზაინებზე, თუ რას გთავაზობთ:

1. **სკამი ორი ერთში.** ერთ სკამზე ჩამოცმულია მეორე სკამი და განცალკევების შემდეგ გაქვთ ორი სკამი ორ ადამიანზე. ნივთი შეიძლება დამზადდეს ფანერის დაღუნვის, ასევე ორგმინის მასალისგანაც.

2. **დასაკეცი ორსართულიანი საწოლი, შვედური კედელი და სამეცადინო მაგიდა ერთად.** სამი ნივთი ერთ ნივთში.

3. **მოზარდის სამეცადინო მაგიდა სკამით, თაროებით და უჯრებით.** აკეცილ მდგომარეობაში სკამს თაროს ფუნქციის შეთავსებაც შეუძლია. ასეთ მდგომარეობაში მაგიდის სიგანე 40 სანტიმეტრია, გაშლის შემდეგ 80 სმ.



4. **ჩვილის საწოლი საბავშვო სკამით, მაგიდით, სასრიალოთი და ტუმბოთი.** ტუმბოს მოხსნის შემთხვევაში ის ტრანსფორმირდება მოზარდის საწოლად.

5. **საძინებლის ტუმბო.** იარუსების გაწევ-გამოწევის შემთხვევაში მასზე შეიძლება განათავსოთ გაცილებით მეტი ნივთი, ვიდრე ნებისმიერ სხვა ტუმბოზე.

6. **ტუმბო, ღია თაროები და სკამი ოთხ პერსონაზე.** დაკეცილ მდგომარეობაში ტუმბოა ღია თაროებით, ხოლო გაშლის შემდეგ სკამი ოთხ პერსონაზე. სხვა მასალისგან დამზადებისას კი შეიძლება შეიძინოს კიდევ ორი ფუნქცია: მაგიდისა და შეზლონგის.



ექვსივე დიზაინის სატესტო ჭრის შემდეგ აღმოჩენილი და აღმოფხვრილი შეცდომების გათვალისწინებით ახალ ნახაზებზე დატანილია თვითმჭრელი კონფირმატებისთვის განკუთვნილი ყველა ნახვრეტი თუ ღარი, როგორც ძირითადი კონსტრუქციის ფაზლივით ასაწყობად, ასევე ფურნიტურის ასაწყობად.

თუ გადაწყვეტთ პროდუქტის დაშლილ მდგომარეობაში გაყიდვას და აწყობის ნაწილს კლიენტს მიანდობთ, პროგრამულ ფაილებს მოყვება გასაგები და მარტივი ინსტრუქცია, რომელიც არაპროფესიონალსაც გაუადვილებს ამ ამოცანას.

კონკურენტული უპირატესობა

ბაზარზე არსებულ კონკურენტებთან შედარებით თქვენი ინოვაციური პროდუქტის ძირითადი უპირატესობებია:

ინოვაციური პროდუქტის ფლობა - თქვენ გაქვთ კანონიერი უფლება და საშუალება ამ პროდუქტის წარმოება-რეალიზაციაზე ნებისმიერ გადამყიდველთან ესე იგი ხართ ლიცენზიის მფლობელი.

ნაკლები საგადასახადო ხარჯი - მცირე ზომის ბიზნესის შემოსავლები, დიდი ზომის ბიზნესებთან შედარებით, ნაკლები პროცენტით იბეგრება.

ელექტრონული კომერსია - ონლაინ გაყიდვების საშუალებით და ადგილზე პროდუქტის მიტანით და ადგილზე აწყობით უფრო ოპერატიულად ემსახურებით კლიენტს. ასევე ზოგავთ გადამყიდველის ფასნამატს ან მაღაზიის ქირის ხარჯებს, რაც გარდუვალია პროდუქციის საცალო მაღაზიებში განთავსების შემთხვევაში.

ბაზრის ანალიზი

გთავაზობთ, რომ შეხედოთ ბაზრის მონაცემებს, რომელიც დაგეხმარებათ იმაში, რომ დაინახოთ საერთო სურათი, თუ როგორი მდგომარეობაა ავეჯის ბაზარზე, არის თუ არა მოთხოვნა მოდულირებად ავეჯზე და როგორია მისი განვითარების პერსპექტივა მომავალში. ასევე საინტერესოა იმის გაგება, თუ რომელი ქვეყნებია მოწინავე ჭკვიანი ავეჯის ინდუსტრიაში.

2023 მსოფლიოს ავეჯის ბაზარმა შეადგინა 652.4 მილიარდი აშშ დოლარი. ამასთანავე ავეჯის ბაზრის ზომა 2028 წლისთვის გაიზრდება 5,57%-ით და მიაღწევს 855.5 მილიარდ აშშ დოლარს.

ჭკვიანი ავეჯის გლობალური ბაზრის ზომა 2023 წელს შეფასდა 3,25 მილიარდ აშშ დოლარად. 2030 წლისთვის კი მიაღწევს 5,18 მილიარდ აშშ დოლარს, გაიზრდება დაახლოებით 7%-ით.

მოდულირებადი ჭკვიანი ავეჯის ბაზარი მთლიანი ავეჯის ბაზრის დაახლოებით 0,5%-ს შეადგენს.

მოდულირებადი ავეჯის წილს ვითვლით 2023 წლის მონაცემებზე დაყრდნობით. 2023 წელს სხვადასხვა ქვეყანაში ავეჯის ბაზარი:

გერმანია: 83,000,000 მოსახლეობით. გერმანიის მთლიანი ავეჯის ბაზარი შეადგენს 55,200,000 000 დოლარი. აქედან მოდულირებადი ავეჯი დაახლოებით შეადგენს 275 მილიონ დოლარს.

ბელგია: 11,590,000 მოსახლეობით, ბელგიის მთლიანი ავეჯის ბაზარი შეადგენს 6,4 მილიარდ აშშ დოლარს, ხოლო მოდულირებადი ავეჯის ბაზარი დაახლოებით - 32 მილიონ დოლარს.

ნიდერლანდები: ნიდერლანდები 17,418,808 მოსახლეობით. მთლიანი ავეჯის ბაზარი შეადგენს 8,640,000,000 დოლარს. აქედან მოდულირებადი ავეჯის წილი დაახლოებით 0,5% - 43 მილიონ აშშ დოლარს.

ლუქსემბურგი: 122,273 მოსახლეობით. მთლიანი ავეჯის ბაზარი შეადგენს 425,500,000 დოლარს. აქედან მოდულირებადი ავეჯის წილი დაახლოებით 0,5% შეადგენს 2 მილიონ აშშ დოლარს.

საფრანგეთი: 68,700,000 მოსახლეობით. ავეჯის ბაზარი შეადგენს 17,280,000,000 დოლარს ხოლო მოდულირებადი ავეჯის ბაზარი - 86 მილიონ აშშ დოლარს.

ესპანეთი: 48 085 361 მოსახლეობით. ავეჯის ბაზრის ღირებულება შეადგენს 15,970,000,000 დოლარს. აქედან მოდულირებადი ავეჯის წილი დაახლოებით 0,5% შეადგენს 80 მილიონ დოლარს.

თურქეთი: 85,200,000 მოსახლეობით. თურქეთში 2023 წლის მონაცემებით ავეჯის ბაზარი 1 800 000 000 აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო მოდულირებადი ავეჯი - 9 მილიონი აშშ დოლარს.

უკრაინა: 37,600,000 მოსახლეობით. უკრაინის ავეჯის ბაზარი შეადგენს 315,000,000 აშშ დოლარს, ხოლო მოდულირებადი ავეჯი დაახლოებით - 2 მილიონ აშშ დოლარს.

ინგლისი: 67,736,802 მოსახლეობით. ინგლისის ავეჯის ბაზრის ღირებულება შეადგენს 3,000,000,000 დოლარს. აქედან მოდულირებადი ავეჯის წილი დაახლოებით 0,5% შეადგენს 15 მილიონ აშშ დოლარს.

იტალია: 59,110,000,000 მოსახლეობით. იტალიის ავეჯის ბაზარი შეადგენს 17,570,000,000 აშშ დოლარს. ხოლო მოდულირებადი ავეჯის ბაზარი დაახლოებით - 88 მილიონ აშშ დოლარს.

ამერიკა: 332,403,650 მოსახლეობით. ამერიკის ავეჯის ბაზრის ღირებულება 34,800,000,000 დოლარია, ხოლო მოდულირებადი ავეჯის - დაახლოებით 173 მილიონი დოლარი.

ჩინეთი: 1,409,000,000 მოსახლეობით. ჩინეთში ავეჯის ბაზრის მოცულობა შეადგენს 68,600,000,000 აშშ დოლარს, ხოლო ჭკვიანი ავეჯის ბაზრის მოცულობა - დაახლოებით 341 მილიონ აშშ დოლარს.

საქართველო: 3,802,553 მოსახლეობით. 2023 წელს საქართველოს ავეჯის ბაზრის მოცულობა შეადგენდა 68,576,779 აშშ დოლარს, ხოლო მოდულირებადი ავეჯის მოცულობა - 342,000 აშშ დოლარს.

საქართველოში რეგისტრირებული ავეჯის გამყიდველია 977 კომპანია. იმისათვის, რომ თითოეული მათგანი გავიდეს მოგებაზე, თვეში უნდა გაყიდოს 46 დან 50 მდე ნივთი, ხოლო წელიწადში 552-დან 600-მდე ნივთი. 56 დოლარი სუფთა მოგება 46 ავეჯის ერთეულზე თვეში შეადგენს 2,576 დოლარს, ხოლო წელიწადში 30,912 დოლარის სუფთა მოგებას.



ამრიგად, ჭკვიანი ავეჯის ბაზარს აქვს მნიშვნელოვანი პოტენციალი და, როგორც პროდუქტი, მოდულირებადი ავეჯი აგრძელებს ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში ინტეგრირებას.

მარკეტინგი

მარკეტინგისთვის გთავაზობთ მარკეტინგის ფაზლ სტრატეგიას, რაც გულისხმობს საიტის და სოციალური მედიის გაერთიანებას.

სოციალური მედია ოპტიმალური საშუალებაა კომპანიის სარეკლამო ხარჯების მინიმუმამდე შესამცირებლად.

დღესდღეობით ვებსაიტებზე ხშირად შეხვდებით „იუთუბიდან“ ჩასმულ ვიდეოებს. ეს პრაქტიკა საკმაოდ წარმატებით გამოიყენება და ორ მნიშვნელოვან ეფექტს იძლევა. პირველ რიგში, ვიდეოები უზრუნველყოფს მომხმარებლის ვებსაიტზე ხანგრძლივად გაჩერებას და მეორე, თქვენი ვიდეო „იუთუბზე“ აგროვებს ნახვების რაოდენობას.

ვიდეოს ყურებისას ვებსაიტზე იზრდება ნახვის სიღრმის ინდიკატორი, რითაც საიტი Google-ის ტოპ საძიებო შედეგებში ხვდება.

სოციალური ქსელების ალგორითმის სწორად გამოყენება ზრდის ნდობას თქვენსა და კლიენტებს შორის, ასევე იზიდავს მეტ მომხმარებელს ფასიანი რეკლამის გამოყენების გარეშე.

ფინანსური გეგმა და ინვესტიციები

ხარჯების ჩამონათვალი:

ლიცენზია, რომელიც გათვლილია 5 წელზე, მოიცავს 6 დიზაინს და ნახაზების პროგრამულ ფაილებს და მისი ღირებულებაა 4500 აშშ დოლარი. შესაბამისად წლიურად მოგიწევთ 900 აშშ დოლარის გადახდა, ხოლო ყოველთვიური ხარჯი შეადგენს 75 აშშ დოლარს.

გარდა ამისა, დაგჭირდებათ სნს როუტერის ღირებულებაა 6500 აშშ დოლარი. ხოლო თვიური ხარჯი უდრის 0-ს.

სულ ჯამში პროდუქტის ღირებულებაა 11 000 $.

პროდუქტის თვითღირებულება

ერთი ავეჯის დამზადებას სჭირდება 2,5-3,0 კვ. მ. ფანერა. ერთი კუბი ფანერა ჰყოფნის 18 – 22 ცალი ერთეული ავეჯის დამზადებას. ერთი კუბი ფანერის ფასი საშუალოდ შეადგენს 658 ევროს.

ერთ ერთეულზე ფანერის ღირებულება შეადგენს 29 – 36 ევროს.

სნს როურეტის ჭრის მანძილი შეადგენს საშუალოდ 133 მეტრს ერთეული ავეჯის დეტალების დასაჭრელად. გრუნტი 1 ლიტრი, საღებავი 2,5 ლიტრი, გამხსნელი 2,5 ლიტრი.

ფურნიტურის ღირებულება შეადგენს 20 ევროს.

ხის ხელოსნის ხარჯი - 50 ევრო.

შეფუთვა - 7 ევრო.

სხვა გასათვალისწინებელი ხარჯები მოიცავს: საწყობის, კომუნალურის, ტრანსპორტირებისა და მარკეტინგის ხარჯებს.

ჯამში ერთი პროდუქტის დასამზადებლად 189 ევროა საჭირო.

პროდუქტის თვითღირებულება (ევრო)

მასალების ღირებულება	72
ხის ხელოსანი	50
შეფუთვა	7
საწყობი და კომუნალური	10
ტრანსპორტირება	50
ჯამში	**189**